


6984

ნაპაღული

საქართველოს
განმანათლებლო



F-5818

საქართველო ეუზნალო
მცირეულთვანთათვის

აპრილი № 7. 1917 წ.

მეცნიერება




თბილისი
№ 7
საბჭოთა

ფაქტობრივი მე-111.

აპრილი, 1917 წ.

243




შინაარსი:

| | |
|---|----|
| I — სურათი | 1 |
| II — გაზაფხულს, — ლექსი შიო მღვიმელისა | 3 |
| III — თოვლა და მისი კული, — ცკვიტისა | 5 |
| IV — უმადური წიწილა, — ზღაპარი ლექსად გიგო თემისხვეველისა | 19 |
| V — სამხეცეში, — კენგურუს ნაამბობი, — თარგმანი ალ. მითაიშვილისა . . | 16 |



გაზაფხულს.



ოაწია გაზაფხულო,
ქჭრელო ზამთრის ეელისა,
ტურუბად ამუვაკებელო
ჩვენი შთა და-ველისა,

უეცრად რომ მოფრინდო
ქარიშხლის ფრთებთა
და ფრინველებს აგალობებ
საჩემო სმებთა,

სალამს კაძლევეს დიდებულს
ცელქი ურმათა კრებული,
ზამთრისგან გულ-ნაკლული,
მისგან ვაოგნებული.

შეკამკობენ სიმღერით,
კარგო, კეთილ-გზიანო



ევავილების მშობელო,
ზირ-ნათელო, მზიანო.

დაგელოცოს გამწენი.
დროშის მარჯვედ ფრიადი,
უეშპაკოდ ღიმილი,
მოსდენილი ცქრიადი.

ზამთარმა კი ვერც ერთი
ბაღლი ვერ მიიკარა,
განგებ სითბოს გულისთვის
ბევრი აკარ-დაკარა.

მაგრამ მოუსვენრებმა
წარბიც არ შეიხარეს,
ელოდნენ შესს მოსვლასა,
და, აჰა, გაიხარეს.

ღღეკრძელობა ჭრელ-კაბაზე,
მწვანე ქათიბიანო,
საუვარელო, ეველასთვის
მუდამ აღერსიანო!

შია მღვიმელი.





თოვლა და მისი კული



ელაზარაკები—სწორე გზით წადი მეტი! ორ-
ლობეს რომ მიაშურებ, ვითომ ვენახში შებმა-
ნება სომ არა გნებაეს? ვერ მოგართვეს. აქეთ
მობმანდი, შენა! აუჰ, აუჰ, აუჰ!..—თავკამოდებით
იეფუებოდა თოვლა დილა ადრიან და გაიანეს
ძროხას სან აქედან წამოუვლიდა და სან იქი-
დან, რომ სხანახროზე მიეკლა და დროით გან-
თავისუფლებულიყო. უკანვე დაბრუნებისას თოვ-
ლა ჭალაზე ცოტა არ იოს თავკამოდებით მო-
დიოდა. გამოივლიდა თუ არა ჰატარა მანძილს,

ცოტა ხნით შეწერდებოდა, ისევ უკან მიიხედავდა, ბოხი სმით
დაიეფუებოდა და სელახლად გამორჩილდებოდა. მის ხმას მთე-
ბი ისე მკაფიოდ იმეორებდნენ, რომ ძალი ბევრჯერ ზერ-
დებოდა და მორიდან მოსმენილ ეფუას სისარულით ეურს
უგდებდა.

— აი, დიდება შენდა ღმერთო! მართლა უოხადი რამ უნდა ვიყო, რომ ეველას ასე მოვწონვარ. აბერ მთები როგორ მესმაურებიან, თითქოს ხუმრობით მაქვსებენ... არა, მართლა კაი ბიჭი უნდა ვიყო,— ფიქრობდა თოვლა და თან გამაღებელი ჰქეფდა.

უნდა გითხრათ. რომ თოვლა იმ დილით ისეთ კაი გუნებაზე იყო, რომ უკანასკნელი ბეწვი რა არის, ისიც ძლიერ მოსწონდა თავის სხეულზე. ამ დროს მინდვრიდან ხარაბუხე მოფრინავდა. წინ ძაღლის კუდი შეესვენა. ეცა, ბაღანში შეუძვრა და მწარედ კბენა დაუწყო. ძაღლი გაცაცხლდა, თავი გვერდზე მოიხარა, მაგრამ უკმეს კუდს რაკი ზირი ვერ მიანწვდინა, ისეთი ზროწიალი ასტყნა, თითქოს თავში დასცემია რამეო. რაკი მანც ვერ მოეწია, თოვლა ახლა კი ისე გაბრუნდა და კუდს ისე ძლიერ დაემუქრა, გვეგონებოდა სადმე გადაასახლებსო.

— აი, შე ოხრად დახარჩენო, დაძაცა შენა, ისეთ საქმეს დაგმართებ, რომ თავბუდი გაწვევლინო.

მაგრამ შე შენ გითხრა— გაჯავრებაში კუდი კი უკან ხამორჩებოდა. ის ისედაც დიდი ხანია თოვლაზე კბილებს იღუესავდა, მაგრამ შესაუერ დროს ელოდა და ჯერ-ჯერობით სმას არა სცემდა.

— დამაცადოს, განა ამდენ უსამართლობას შევარჩენ!.. ცოტა კიდევ დამაცადოს და თუ ხარის ძირასავით სულ ერთბაშად არ უეარე, მამ კუდი ნუღარ ვეოფილვარ,— ეოველთვის ასე ბუსღუნებდა კუდი, მაგრამ თავის გულის წეროძას არავის არ აკებინებდა.

ღღეს კი ვედარ მოითმინა, თოვლას გაგულინებაზე ისიც ისე აიბუშვა, ისე განრისხდა, რომ ვიდა იცნობდა— ბანჯკვლიანი კუდი ეგდო სადმე, თუ გულსეიადი კნეინა და ქალბატონი იყო.

— არა, რომ შეშუქრები, ნეტა რას მიხამ? ერთი მითხარ და კამაგებინე—ამაზე ძლიერ და უარესად განა როგორღა დამხაგრავ? გაგონილა, თქვენი ჭირიძე, ამდენი დვაწლი, ამდენი ჰატივისცემა, მაგრამ ამისმა დასაბრძავებელმა თვალებმა ვერა და ვერ დაინახეს!!!

ერთი მკითხეთ, თქვენ გენაცვალეთ, ამის ხელში რამდენი ჭირის ამტანი ვარ?.. როცა თბილა და რბილად დაბრძანება ნებაღს, ხალიჩასავით მუდამ ქვეშ მე ამომიდგებს სოლმე; ლაქუციითა და ოინბასობით ვისგანმე ლუკმა ჰურის გამოცინცლა როცა სურს,—კაი საქანელასავით ისე მაქანავებს, რომ ჭკუა მაქეს დაფანტული; ბუხებსაც სომ ბევრჯელ ჩემით იგერიებს, უოველგვარ დანაშაულს და შიშსაც მე მასატვინებს, მაგრამ მიუხედავად ამისა ეველაზე ბოლოს მოქცეული მე ვარ და მუდამ ასე უმნიშვნელოდ და უეურადღებოდ მე ვგდებარ... არა, არა, ამაზე მეტი მოთმინება აღარ შემიძლიან: მეცა მაქეს თავმოყვარეობა, ამდენ დამცირებას ველარ ავიტან; დღესვე უნდა გამეფარო: მენ მენთვის, მშაო, და მე ჩემთვის!—სეტყუასავით დაეჯარა განრისხებულმა კუდმა და უარესად აიბუტა.

ამ სიტყვებზე კი ძაღლს ისეთი გული მოუვიდა, რომ მეტი სიბრასით აწკმუტუნებული კუდს რაც ძალი და ღონე ჰქონდა უფრო ძლიერ გამოეკიდა და როგორც კაი ჯარა, ისე დატრიალდა. ამ ტრიალის დროს აკი უცაბედად ფეხი აუცდა და იქვე ხევიში არ გაღიხეს!

კოდალა და იმ დროს ეველა ჭალაში მყოფი ფრინველები სიცილით ისოცებოდნენ, როდესაც ცოტა ხნის შემდეგ ხევიდან საცოდავი წკაუ-წკაუი მოისმა და ხევის ზირზე ძაღე ფეხ-აკან-ჭურებული თოვლაც გამოჩნდა. საცოდავად ურუბ-ჩამოურილი და კუდ-ამოძუებული ჩირგვებს შორის სახლისაკენ ფეხ-აკრეფით ისეთს მიხლახუნებდა, თითქოს ვმინოდა—არავის დამი-

ნახოსო. მაგრამ კუდი განა რას მოასვენებდა! მისდევდა განს და როგორც ავი დედამთილი, ისე უბუსღუნებდა:

— ვენაცვალე ჩემ წილ ღმერთს! მოგსვდა თუ არა! მართალია შენთან ერთად ცოტა ნაწუკუკტი მეც შერგო, მაგრამ ამას განა დაუიჩივლებ?! ის რად მიღირს, რომ შენი გამწარებით გული ვიჯერე. ჰე, დაგიდგა ეგ თვალი, ახლაც სომ დაგჭირდა ჩემი თავი; კულამომუებულს გინდა რომ ჰატრონს მაინც ჩემით თავი ძლიერ შეაბრალო, განა? აი, შე უმადურო, აბა ძაღლსაც სწორედ მაგ უსამართლობისათვის გეძახიან... რო მოკვდე, დღესვე უნდა გაპეუარო; ამაზე მეტს ვეღარ ავიტან, ვერა!!..

ასე უჭირებდა საქმეს დაჩეჩკვილ ძაღლს თავისივე კუდი. მაგრამ აბა რა იქნებოდა. კუდი ისევ კუდად რჩებოდა და წინანდებურად იჩაგრებოდა.

მკობო





უმადური წიწილა

(ხალხური იგავ-არაკი)



ეო ზატარა წიწილა, იძახდა „წია-წიასა“. ჭებრში ბუსებს იჭერდა, ძირს არ უშვებდა ჭიასა; ოთახში ძალძალ შერბოდა, თუ კარს ნახავდა ღიასა, თავ-პირს აჭამდა ზაზასა, არ ასვენებდა ძიასა.

ერთ დღით კარში გააგდეს; გზაზე ნაგავსა ჰქექავდა, დიდებას ცოცხის შიშითა შინ შესვლას ვალარ ჰბუდებდა; უცებ კვალე შეერჭო, საცოდავს ფესში სხვლეტავდა, ამოღებასა ცდილობდა, მშველელს ვერსადა ჰხედებდა.

იტანჯებოდა, კვნესოდა, სტკიოდა, მეტად წვალობდა, საბრალე თავისებურად ფესებს ველარ ხმარობდა. იქვე მესობლის ბებერი თონეში ლავაშს აცხობდა, კოჭლობით მიუჩლახუნდა, შევლასა სთხოვდა, ჩქარობდა:

აბა, მიუურე, დიდგო, რა-რიგად ვიტანჯებიო, ფესში კვალე შემერჭო, საკენკის შოვნას ვცდებიო; ველარ ვქექავ ნაგავსა, სიბრაზისაგან ვკვდებიო, მიშველე, შენი ჭირიმე, მუდარით გესვენებო!..

გულკეთილობით იმ ბებერს არავინ სჯობდა სოფელში,
ამიტომ ეველას უუვარდა, არ გაარწვედნენ მძობელში;
ბევრი ჯაფისკან სისუსტე შეჭმარებოდა ღონეში.
ეკალი ამოაცალა და ჩაუძახა თონეში.

წიწილა მიუტრიალდა: ბებერო, გამიგონეო!
ცალ-ყვხა აღარ განლაგარ, მუსლში მომეცა ღონეო;
ჩემი ეკალი მომეცი, გული ნუ შემიღონეო,
თორემ რა ბიჭი ვიქნები, თუ შენ ვერ დაგიძმონეო!

მან სხვა ეკალი მოგლიჯა, გაჭკვირდა მისი შჭვრეტელი;
მისცა და უთხრა:—აჰა, ეს შენი ფესის მხსვლეტელი;
რა უმადური ეოფილხარ და თანაც მოუთმენელი!
თუ შემსვდა, უნდა გავლახმო ის შენი გამოძეველი...

წიწილა მეტად გაანხსლდა: შენ სომ არ დაგრჩა თემიო?
მე სხვა ეკალი არ მინდა, მომეცი სწორედ ჩემიო,
თორემ ღავაშხა მოგტაცებ, თავში ნისკარტის მცემიო,
ამვებული მაქვს ზღვაზედა იაღქინანი გემიო...

ბებერმა ერთი ღავაში ამოურჩია ზატარა.
წიწილამ აქეთ-იქითა ბევრი ათრია, ატარა;
ქათმების მოსარიდებლად სხვა ვერა გამოხატარა,
კორასე გადაიარა, მინდორი გადაატარა...

მთას იქით კიდევ იარა, შემოიარა ტყეები.
მინდორსე უარა ევენათ, მირს იხსდნენ მეცხვარეები,
ჯამფიალები გავესოთ, გადმოდიოდა რძეები,
ზურისა მაგიერადა შივ ჩავეარათ ბზეები.

წიწილა ასღო მივიდა, სვლამი მისცა ჭკვიანად:
—თქვენი სტუმარი ვიქნები მე ჩემი ღავაშიანად!

უთხრეს:— მობრძანდი, გვეწვიე, ჩვენც დაგისვდებით რძიანად;
ცცოდნია, ზური არ გვექონდა, რისთვის მოხვედი გვიანად?

— რა ვქნა — გული გამიწვრილა ამ გეგლმა შარა გზამთ,
ღმერთმანი, ძლივას მოვედი, არ მომიკვდება მამაო!
აჭაა, მანამ თბილია, ლავაშს დაუწვეთ ჭამაო,
თანეში ჩაკვრა მიძველა ჩემმა ზატარა დამაო...

მეცხვარეებსა იმათ: დაგიდგა კარგი დარია,
სტუმარი ასეთი უნდა, თუ არ მოკვიდო შარიაო...
წიწილამ უთხრა ბოლოს: უნდა მოგტაცოთ ცხვარიო,
ლავაში მუქთი არ იყო და არცა საჩუქარიო...

რღა ეთქმოდათ მწვემსებსა, შეჭმული ჭქონდათ ლავაში:
გამოუცდევლები იუვენ აურზაურში, დავაში...
აღვინ და ცხვარი მიართვეს, სისუქნე ჭქონდა კავაში.
წიწილამ გზას გაუყენა, არსად დაბა ბაკაში.

ბევრი იარა თუ ცოტა, გზა-კვბლი არსად არია;
სოფელში ქორწილი ჭქონდათ, თავი იმათში გარია;
უნდოდათ ცხენი დაეკლათ, ვერსად ეძოვათ ცხვარია,
მსუქანი ეოჩი რომ ნახეს, იმათ ეგონათ სარია...

წიწილამ უთხრა: ინებეთ ეს ჩემი ეოჩი მსუქანი,
ცხენს რისთვისა ჭკლავთ, ჩუ თუ აქ არავისა აქვს დუქანი?!
მიუგეს:— ვერსად ვიძოვეთ, შემოვიარეთ უბანი,
ველოდებოდით ღვთისაგან, თქვენსედაც გვექონდა გუძანი...

ქორწილი შორხა: ეველანი წავიდნენ თავის გზასედა.
წიწილა აღარ დაიძრა, დასკუჭულიყო სკამსედა;
თვბლი რჩებოდა იმ ლამას გოგმანა ზატარამღსედა,
იფიქრა: ცხვარში მოვითხოვ, უარს მეტყვიან რასედა?!

თანდათან წამოვიზარდე, წიწილა გავხდი ევინჩილა,
 ხსლა მე ძეტი ძეკუთუნის ცხოვრების ზიზილ-პიპილა;
 რა მენადვლება ზიკ-ზოგის ჩივილი, იწილ-ბიწილა,
 თვალებს დაგკორტნი ნისკარტით, თუ ვინმემ ჩემსე იწილა.

უთხრა: ან ცხვარი მომეცით, ან თქვენი ჰატარძალიო,
 მუქთი არ იყო, გეთაუვა, ბევრსაც ეჭირა თვალისო...
 იმის შოვნაში დავსარჯე ჩემი ნახევარ ძალიო,
 აქედან აღარ დავიძვრი, მანამდის კმართებთ ვალიო.

სახლში ჩურჩული შეექნათ, ერთმანეთს უთხრეს: რა ვქნათო?
 ძლივს ჰატარძალი ვიმოვეთ ოჯახის გულის ვარდათო;
 მოდი, ჩვენ კიდობანშია ქოფაკი ძალღი ჩავსვათო,
 ავკიდოთ და გავატანოთ თავის ცხვარისა ბედლათო.

ძალღი კიდობანში ჩასვეს, წიწილას ზურგზე აჭკიდეს,
 უთხრეს: შიგ ჰატარძალი ზის, გაუფრთხილდი—არ გაცივდეს,
 უკან არ გამოგეპაროს, ან სხვასთან არსად წავიდეს,
 სვალ დილით შეგვატეობინე, თუ მოსართავი დასჭირდეს...

წიწილას ქალი ჰკონია, ზურგზე კი ძალღი ჰკიდიდა,
 ძიდის და მიუსხრიან, არავისი აქვს რიდიან,
 ფიქრობს: რა ჰკვიანადა ზის, აღბად დინჯი და მშვიდიან,
 უთუოდ ბევრ ფულს მომცემენ, ჩემი ცხოვრების სიდიან...

რომ ვაკვირდები ჩემ თავსა: აბა რა ვიეავ წინათა?
 ერთბა ვეალის მიხეშმა ლავაში მომცა წილათა;
 ლავაშმა ცხვარი მიშოვა, ცხვარმა ეს ქალი იღებლათა,
 ამ ქალისაც ძალე გავეიდი, მერმე ვიცხოვრებ მდიდრათა...

ტუბილი ფიქრებით, დიღინით სახლში მივიდა წიწილა:
 ვმადლობ ჩემ ბედსა, ბოლო დროს კარგი დოვლათი მიწილა.

კიდობანს სუფი ასადა, გულგახეთილმა იწივლა,
ქოფაკმა ძაღლმა საბრალოს უცებ გაუქრო სინსილა.

ვინც ძვირად ჰქეიღის თავისას, ცდილობს სსვეებისა წველასა,
ვინც არ უფასებს არავის სიკეთესა და შველასა,
ვინც ორპირულად იქცევა—ასე მოუვა უველასა:
ან შგელი შესჭამს ან ძაღლი, ან წილად სვდება პელასა.

გაგო თქმისხველი





ს ა მ ხ ე ც ე უ შ ი

კანგურუს ნაამბობი



იგი ქარი თოვლის ფიფქს მსიარულად ათა-
მაშებს; სიცივე თანდათან მატულობს. სამ-
სეცეც სიცივესა და მუედროებას შეუჭერია.
თბილი ქვეყნიდან გადმოხვეწილი მსეცები
კუთხეებში მიკუნტულან; ზოგი კიდევ ცდი-
ლობს ფეხ ქვეშ დატეხულ ბზეში ჩაეფლან
და გათბეს; მსოლოდ თეთრი დათვი გაწოლიდა გალიის ცა-
რიელ იატაკზე და ბუტბუტებს თავისთვის:

— როგორ ცხელა! აჰ, რა კარგია ახლა ჩემ სამშობლო-
ში დამსვა!

მაიმუნმა გაათავა ამბავი, დიდხანს ახველა და მიუხდა.
ცოტა ხანს სამსეცეში სიჩუქე ჩამოვარდა.

— აბა, ახლა კი შენი ჯურია, — მიძართა სვილომ კენჭურს. ახლა შენ გვითხარი შენი თავკადანავალი!

კენჭურუ მიუხასლოვდა გალიის მავთულს და უკანა ფეხებზე ჩამოჯდა.

— მე არ მასსოვს ჩემი სიუმაწვილე, სინატარავე, — დაიწყო მან. — მასსოვს, როცა კაი მოხრდილი უჯექი დედან ხალთაში, შემემლო ავისა და კარგის გარჩევა. ჭო, უჯექი დედან ხალთაში და იქიდან ვსტკებობდი ავსტრალიის ლურჯი ცის შვენებით, მწვანე მინდვრებისა და შორიდან იის ფრად მოელვარე მთების სურათით. მე სომ შორეულ ავსტრალიიდანა ვარ მოევანილი კაი ხანია, ასე რომ თითქმის შევეჩვიე კიდეც აქაურ ჭავას. აძობოფენ, რომ ძალიან საინტერესო ვარ და თითქოს ჩემი მზგავსი არც იეოს დედაბიწის ზურგზე. მართლაც უკანა ფეხები და კუდი გრძელი მაქვს, და ისე ამდგარი დავხტივარ; უკანა ფეხებზე და კუდზე ისე ვზივარ, თითქოს სამოფენი იეოს. წინა თათები მოკლე მაქვს და კაცის ხელს ჩამოგავს; იმით ვწვევტ ხოლმე ხილს, ვიქექავ თავს საჭირობის დროს და ვარწვევ ჩემ შვილს. ეველანზე უფრო საკვირველია ჩემ სსეულზე მოქნილი ხალთა, რომელიც მუცელზე მაქვს; თუ არ მჭირდება, დაკეცილია; ხალთაში მე შვილი მიჭირავს.

ჩვენ ბალახის მჭამელი ცხოველები ვართ. გვიევარს მშვიდობიანი ცხოვრება და არავის არაფერს არ ვავნებთ. არ მესმის — რათა ვარ დამწვეფეული ამ რკინის გალიაში! მე სომ არავისთვის წარალი არ მიმიცია, არ მიწუენინებია?! მაგრამ საგანს ავცდი, — ჩემ თავკადანავალს გეტყვით. მასსოვს, ერთხელ დედაჩემმა რომელღაც ბუჩქნარს მოსწვევითა ნაუოფი, აგორა ხელის გულზე, გაარბილა და ჩაიდო ჰირში. ბალახის წიწკნის დროს ერთი ადგილიდან მეორეზე უნდა გადასულიყო და ამას საუცხოოდ ასწრებდა. ჩვენ სომ არ შეგვიძლია ოთხ-

ფეხზე შევდგეთ და ისე ვიაროთ! სიარული, ადგილის გამოცვლა თუ კვინდა, უნდა ერთბაშად გადავსტეთ სამი საყენის მანძილზე, ან და ვიფორთსოთ. დედა-ჩემი ამნაირად ფორთხავდა: წინა თათების გულით დაებჯინებოდა მიწას, უკანა ფეხებს გაყოფდა შივ, მოიშველიებდა კუდს და მარხილივით მიფორთხავდა. მე ვუჯექი დედას ხალთაში, კურდღელივით ვაცეცეზდი თვალებს აქეთ-იქით და ვერთობოდი. დედა ჰკლავდა ქლიავს და მიდებდა ჰირში. საზოგადოდ ასე ჰკვებავს კენგურუ შვილებს. ერთხელ დედა მეუბნება,—აბა მაგრად იჯექი შენს ადგილას; ჩვენ ასლა გავიქცევით დეიდა შენთან; იმას შვილი ეყოლა. გინდა ნახო?

— მინდა,— ვუბასუსხე მე.

შეკვდარი ხალთაში და დედამ გასწია სტუნვით სადღაც შორს. ისე მადლა სტოდა, რომ მეკონა ჰვარში მივქროლავე მეთქი. ნახევარ საათში უცნობ სათიბში ამოვუვალით თავი. იქ სუთამდე კენგურუ ბალანობდა.

— აი შენი დეიდა! — მიძითითა დედამ ერთ მათკანზე. — დღეს მას ეყოლა ჰაწია კენგურუ; ასლავე გიჩვენებ. დედა და დეიდა ხელებით გადაეხვივნენ ერთმანეთს; ამნაირად ესალაბებიან სოლამე ერთმანეთს კენგურუები.

— როგორ ხარ? როგორია ახალ-შექმნილი? — ჰკითხა დედამ.

დეიდამ კმაყოფილების ნიშნად ეურები აათამაშა და ხალთა შეკუმშა. ჩვენ დავინასეთ ჰაწია, ტიტველი, ჯერ კიდევ თვალახუსილავი, ჰაწაწკინტვლა თათებისანი ახალ-დაბადებული კენგურუ, რომელიც მუძუს სწოვდა.

— სადა აქვს ჰატარას ფეხები? — ვიკითხე მე.

— გაეზრდება, — მიზასუსხა დედამ. — ცხრა დღის შემდეგ ფეხები ექნება ისეთივე, როგორც შენა გაქვს. სამი თვის შემდეგ თვალიც ახსილება და ტანიც შეემოსება; რვა თვის შემდეგ კი სულ შენი მგზავნი იქნება.

— შეხედე, შეხედე, როგორ ხარბად სწევს ბუბუს! როგორი გაუძამდარი ეოფილა! რად სწოვს ერთბაშად ასე ბლომად?

დედამ და დეიღამ ერთმანეთს გადახედეს.

— განა კენგურუ ბუბუსა სწოვს? სულულო! კენგურუ ხომ ერთადერთი ცხოველია ბუბუს მწოვართა შორის, რომელმაც ბუბუს წოვა არ იცის. რქე დედის სერვილის თანახმად ეს მის ჰირში და ისიც ელანავს!

მე გადმოვხტი დედის ბუცლის ხალთიდან და ძალად ბლახში კუნტრუში ვიწვე. სასიამოვნოდ დამირჩა დეიღასთან სტუმრობა. კაი ხანია, რაც ბლახის კემო ვიცოდი. დედამ აღარაფერი მითხრა. როცა კაი მანძილზე დავშირდი, უცბად რაღაც სმაურობამ მიიპერო ჩემი უურადლება, სმენა ჩვენ საუცხოვო გვაქვს, და ხელად შევჩერდი. მხედველობა ცუდი გვაქვს და ვერაფერს ვხედავდი. ენოსება ხომ სრულიად არა გვაქვს.

— ფრთხილად!— შემომძახა დედამ უკანიდან.

სმა თან-და-თან მკაფიოდ ისმობდა. დეიდა და დედა უკანა ფეხებზე შედგნენ და სმენად გადაიქცნენ.

— ეს ძალღი ჰეუფს!— შიშით წამოიძახა დეიღამ.

— მამ ადამიანიც ახლო იქნება,— უპასუხა დედამ.

შეუშინდით. საზოგადოდ ძალიან შიშობრა ვართ. მე მიუვარდი დედას, შეხტი ხალთაში და მოვეკურცხლეთ. რამოდენიმე ცხენოსანი, თოფით ხელში, უკან დაგვედევნა! წინ მოუძლოდ ბუბუსების მოვლი ხროვა.

— მაგრად მოვეჭიდე!— მითხრა დედამ.— უნდა გავეჭვებოთ, თორემ დავიღუპებით!

მე მაგრად მოვეჭიდე წინა ფეხებით ხალთის კიდეს და გავეჭვებოთ თავგადაღებულ სტუნვით. კი არ მივრბოდით, მიუფრინავდით. ძალღებმაც უმატეს ხაბიჯს. დედა სტუმობდა ოთხი საუენის მანძილზე და კეებერთელა ბუჩქნარს ისე გადახტე-

ბოდა, თითქოს რეზინის ბურთიაო. ამნაირად ვირბინეთ
საათს. ის იყო თავი დავახსწიეთ გვეგონა მდევრებს, რომ უცბად
თავს წავაწუდით სხვა მონადირეებს. ისინა ისხდნენ და რა-
ღაცას სარძევენ. დაგვინახეს თუ არა, წამოვარდნენ ზეზე და
დაგვიშინეს თოფი. საბრძლო დეიდა სასიკვდილოდ დაიჭრა;
მიცვივდნენ და იმ წამსვე კაბტეავეს.

— მშენიერი საუელო გამოვა ქურქისთვის!— სოქვა ერთ-
მა. — დედა-ჩემი კი შირბოდა. ძაღლებიც თავკამოდებით მის-
დევდნენ. შიშისაგან სული გაუტრუნე; არ ვიცოდი— რა მექნა.

— დავილაღე, მეტი აღარ შემიძლია, — სოქვა დედამ. — შენ
მუცელი დამაგლიჯე. მეტი სტუნვა აღარ შემიძლია და უნდა
დავდგე. მაგრამ შენ გიშველი; მოდი ძაღუ და აქ შეაფარე თავი!

ამ სიტყვებით მივარდა ერთ ბუნქნარს, სწრაფად ამოთხა-
რა წინა ფეხებით მიწა, გააკეთა კაი მოხრდილი ორმო და
მიკრა შიგ თავი.

— იჯექი მანდ, სული გატრუნე! წავაური ბაღასს და ნუ
შოს: ვერაზინ შეგნიშნავს!

ჩავეექი ორმოში და მივეკარი მიწას. მომეყარა ბაღას-
ბულასი დედამ და თითონ სადღაც მიიძალა. ძაღლებიც მოგვი-
ახლოვდნენ. მე ამოვეყავ ორმოდან თავი და დედას დავუწუე ძებნა.

— დედა, დედა! სად წადი? ნუ დამტოვებ მარტო!

— ჩუმად! — დაძიევირა დედამ: — გრინტი არ დანძრა. მე ამ
წებლში დავიძალევი.

ბუნქებში მოჩანდა გუბე. დედა ჩასტა შიგ. ძაღლებიც დაე-
დევნენ. გულმა ღონება დამიწყო. — „რა ეშველება დედას?“ — ვუი-
ქრობ. მიუახლოვდა თუ არა ძაღლი, დედამ სტაცა ხელები,
ჩააუერუშქელავა და ჩააღრხო. დიდხანს იწვალა ძაღლმა, ამოი-
ერუშქელავა, და ბოლოს ჩაიძირა. ამნაირად დედამ დააღრხო
ექვსი ძაღლი; ამოსტა წელიდან და გაიქცა იმ მოსახრებით,
ჩემ საფარდნან მოეძორებია დანარჩენი ძაღლები. მაგრამ გვიან-

და იყო: ძაღლები ის იყო უნდა დასწვოდნენ დედას. შენჭრ-
და. მიუშვირა უკანა ფეხები და რაც ძალი და ღონე ჰქონდა
დაუშინა. მე ვიჯექი შიშისაგან მოკუნტული ჩემ საფარში.
უცბად თავს წამომადგა კაცი. შემნიშნა და დაიხარა. თვალები
დავხუჭე და შიშისაგან ცივმა ოფლმა დამასხა.

— რა მშვენიერია! — წამოიძახა მონადირემ. — ჩამჯდარა ურ-
ცქვიტა ბაღასში! ჯეკ, ცოცხლად წამოიყვანე: ეს ჩვენ გამო-
გვადგება! — ამსიტყვებს ამბობდა თეთრ-კანიანი. ჯეკი კი ბუსტრა-
ლიელი შავკანიანის სახელი გახლდათ. მტაცა ხელი, შემიკრა
უკანა ფეხები, მომიგდო ზურგზე და წამიღო სადღაც. თავ-
დაღმა ვეკიდე, თვალებში სისხლი ჩამიდგა და სამინლად მომ-
წეურდა. მეტის გაჭირვებისაგან ენა წამოვაგდე. შორიდან ისევე
ინმობდა ძაღლის ეეფა და თოფის სროლა. — „რა მოუვიდა
საბრალო დედას?“ გამოივლია თავში და გული შემიღონდა — და-
ვიბნიდე.

როდესაც გონს მოვედი, დაღამებულიყო კიდეც. ფეხები
ისევე შეკრული მქონდა და სამინლად მწეუროდა. ვეკდე კვარ-
დით მიწასზე. ჩემთან ეგდო ჩემსავით ფესგაკრული რამდენიმე
კენგურუ.

— გეწეურია, გვასვით! — კენესოდნენ ისინი. — გეწეურია! და-
გვალევინეთ თუნდაც ერთი წვეთი წული!

იქვე ახლო ცეცხლი ენთო. გარშემო ხალხი ისხდა და
ვასშობდა. იმათ ახლო რამოდენიმე მოკლული კენგურუ ევა-
რა. იქვე ისხდნენ ძაღლები ისეთი გამოძეტველებით, თით-
ქოს მძიმე საქმე გაეკეთებოთ. მცოდნა. მომენტრად დედის
საღთაში მოკალათება, სადაც ისე კარგად ვკრძნობდი თავს.

— დედა, დედა! სადა ხარ? — წამოვიძახე. — წამიყვანე შენ-
თან! — ძაგრამ ჩემ კენესას არავინ სმა არ გასცა, და იმედი
დამეკარგა. გათენდა. მოიყვანეს ურემი, დაგვაუარეს ზედ და
სადღაც წაგვიღეს. ხარბად ვლოკავდით ურემის რკინის კამა-

რას, რომელიც ცვრით იყო დაფარული. მთელი დღე ვერ
რეთ და არავინ წეალი არ მოგვაწოდა. საღამოს მივადექით
დიდ ქალაქს, სადაც გაჩირაღდებულ ქუჩებზე ხალხი ბუხი-
ვით ირეოდა. მთელი ქალაქი ჩაგვატარეს და მიგვიუვანეს ნავთ-
სადგურში, სადაც გემი იდგა. მოგვიქროლა ზღვის სიომ და
ცოტათი გამოვუსიზღდით.

— წეალი, წეალი! — სისარულით წამოიძახა ჩემმა მეზო-
ბელმა. — ახლა კი დაგვაღვეინებენ წეალს!

მოგვიდეს ზურგზე მუშებმა და გადაგვიტანეს გემში. ჩა-
გვრეკეს სადღაც ბნელ ჟურღმულში, ოთხ კედელ შუა, სადაც
ჭერიდან ჩამოდიოდა ცოტაოდენი სინათლე. აქ გაგვისხეს
ფესები. როგორი სიამოვნებით გავიზმორეთ და გავიმზლარ-
თეთ! დარავმა მოგვიტანა კონა ჩალა და ვარცხლი წელით.

— აბა დალიეთ! თქვენ სომ გწუურიათ!

დავეწაფეთ, ვსვით, ვსვით... მე იმდენი დავლიე, რომ მუ-
ცელი გუდასავიო გამებერა. უცბად საშინელი ხმაურობა ატედა.
წამოვიჭვრით უკანა ფესებზე და სმენად გადავიქცენით. თურმე
გემის საფვირის სმა იყო. შიშით და განცვიფრებით მოვისმი-
ნეთ გემის სამკსით საფვირის სმა და შეურიგდით ბედს. შემ-
დეგ იატაკ ქვეშ რაღაც ჭრიალის სმა მოისმა. წელის ხმაუ-
რობაც ატედა. — ჩვენმა სატუსაღომაც ქანაობა იწყო. თურმე
გემი დამირა, ნაპირს მოშორდა, ევროპისაკენ გაემკზავრა.

— მშვიდობით, სამშობლოვ! — ამოიკვნესა ჩემმა მეზობელ-
მა: — მშვიდობით, თვალწარმტაცო ავსტრალია!

მე შიშისაგან ვკანკალებდი. მივეგდე ერთ კუნჭულში და
მინდოდა ტირილი, ევირილი, მინდოდა წვევლა-კრულვა მე-
მეთვალა ადამიანისათვის, რომელიც ისეთი შეუბრალებელია,
რომ დედან დამამორა, სამშობლოს მომწუვიტა და სადღაც
უცნობ ქვეყანაში მივეყვარ.

— მშვიდობით, დედა, — ვჩურჩულობდი ჩუმად: — სადა ხარ
ახლა? რად დამტოვე მაშინ მარტო, რად? — გემმა უმატა ქა-



ნაობას... დღე წლებად გადაძეკდა, ღამე—საუკუნედ; როგორც იქნა, მივასწიეთ ჰამბურგს და გამოგვრეკეს ნაზირზე. შემოდგომა იყო. სცრიდა და ცივი ქარი ჰქროდა. ვიდრე იქნა ნაზირზე, ვკანკალებდი სიცვივისაგან და ვუსძქვრდი სსვა ცხოველებს, რომლებიც გემიდან გადმოჰყავდათ. იქვე ჩემთან ახლო გალიაში იუვნენ სირაქლემა, იხვისცხვირა, ლომი, ვეფხვი, სწილო, თუთიუში და ვეკლა საზარლად ღრიალებდნენ, ზოგი შიშისაგან და ზოგიც—სსვა მიზეზის გამო. იქვე იუვნენ სამსეცეს ჰატრონები, ათვალიერებდნენ ცხოველებს, ვაჭრობდნენ და უიღულობდნენ. მოვიდა ვიღაც ვედროს მსგავს შლიაზიანი, ამათვალიერ-ჩამათვალიერა და კისერზე შიქქიტა.

— ეს მგონი გამოდგეს ჩვენი ზოოლოგიური ბადისთვის!— სთქვა მან.

მე და ერთი მოზრდილი კენგურუ მოგვაქციეს გალიაში, წაგვიდეს საქონლის ვაგონში და მატარებლით სადღაც კავკაზაზეს.

— ეი, შენ! რა ქმინაზს ჩვენი ვაგონის წინ?—მეკითხება მეზობელი, როცა მარტონი დაურზით.

მე შიშისაგან მთელი ტანი მიკანკალებდა და ვერაფერი ვუბასუხე.

დილით ადრე მივედით ერთ დიდ ქალაქში და „დაკვამინაზეს“ ზოოლოგიურ ბაღში. ძალიან შვეშინდი, რადგან დილით ისევე ბნელოდა და ქუჩებში ფარანი ვნთო; ცივი ქარი სისინებდა და სცრიდა. სასგრძლივი მოგზაურობის გამო მთელი ტანი მიკანკალებდა. ზოოლოგიური ბაღი მომეწონა და სისარული შემეპარა.

— აბა ირბინეთ, — გვეუბნება მეთვალეურე. — მოდუნებული სსეული მოძრაობაში გაცხელდება!

ესო მოზრდილი იყო, ბაღასით შემოსილი; თარად იყო კადატიხრული რკინის სრილით. ერთი ნასეგარი ცარიელი

იყო, მეორეში ქოხი იყო აშენებული. ამ ქოხში დავბინავდით მე და დიდი კენგურუ. როცა მზე გამოანათებდა, სამძობლო მოკვავონდებოდა სოლმე და სიხარულისაგან ვკუნტრუშობდით. მოდიოდნენ ბაღლები და გაკვირვებით შემოგვეცქეროდნენ; იმათ სახეზე ამჟამად წაიკითხავდით, რომ ჩვენი ტყვეობა ესიამოვნებოდათ და ეს ძალიან გვიკვირდა, მოდიოდნენ დიდებიც. ერთ ცივ საღამოს მოვიდნენ მხასველები და იმათ შორის კენგურუს ტყავის ქუდი შევნიშნე.—გული მეტკინა, დედა მომაკონდა. სად არის ახლა? ცოცხალია თუ მკვდარი? ნუ თუ ამ ქუდისთვის დაგვაბოროს ერთმანეთს?!

ქოხში გაგატარეთ დრო გასაფხულამდი; გასაფხულზე ისეთი ამბავი დაძაბუნდა თავს, რომელსაც ვერასოდეს ვერ დავივიწყებ. ერთ დღეს ეხოს მეორე ნახევარი განსუფთავა მსახურმა; ქოხის მეორე ნახევარშიც ჩალა დაბგო: უთუოდ რაღაცას ელოდებოდა. ვნახოთ მოკვადგა ფურგუნი და ოთხი კენგურუ არ გადმოიყვანეს!! ორი ჩვენთან შემოიყვანეს... ბაბ მისვლით—რა მდგომარეობა იქნებოდა, როცა იმ ორ სტუმარში ერთი დედა-ჩემი აღმოჩნდა! აღტაცებით მივვარდი, დავუქი უკანა ფეხებზე და სიხარულისაგან უურები ავათამაშე. დედამ ვერ უნდობლად შემომხედა,—აღბად ვერ მიცნო,—მერე წინათათებში წამავლო თათები და გადამეოცნა.

—დედა, დედა!—შევევირე მე.—იმასაც დაეტეო მღელვარება. ჩამისუტა და სალთაში ჩასმა მომინდომა; მაგრამ მე უკვე დიდი ვიყავი და აღარ ჩავეტე. უცხოეთში და ტყვეობაში ამ ამბავმა ეოველივე დამაყიწეა და ვივრძენ სითბო, შვება და სულიერი სიმშვიდე.

დედაჩემი კი გასტერებულივით იყო. ცალკე დადლილობისგან და ცალკე ტყვეობისგან: იდგა ერთ ალაგას და იცქირებოდა ვარშემო. მაგრამ ასეთი მდგომარეობა დიდხანს არ გაგრძელდებულა:—ისიც ძალე შეეჩვია ახალ ბინას. უველანი



შევეჩვიეთ ბედს, დაუუხსლოვდით ერთმანეთს, ვსტოდით, ვთამაშობდით, მაგრამ მაინც სიუიწროვეს ვგრძნობდით და ვიგონებდით ძვირფას შორეულ ავსტრალიას. სძირად ვვეითებოდი დედას: რისთვის, რა დანაშაულის გამო მოგვაშორეს სამშობლოს და დაგვატოვევენ? მაგრამ დედისთვისაც ეს კითხვა გაურკვეველი იყო. ვერ გაგვეცო—რათ ვჭირდებოდით ადამიანებს ჩვენ, იმ ადამიანებს, რომელთა შესახებ არა ერთეულ გაგვიცონია—ტეკუიანი და გულკეთილები არიანო.

— როგორ მოხვდი ამ სამხეცეში? — შევეითსა კენგურუს სწილო.

— გვიისარი, გვიისარი! — ერთმად შესძახეს მხეცებმა,



რომლებიც უურს უკდებდენ კენგურუს საუბარს. კენგურუ ამოიხსენება.

— როგორ ჩამოვარდი აქ? ისე, როგორც თქვენ ეველანი! როგორც აი ეს სწილო, ეს უბედური მაიმუნი, თუთიუში, ლომი! მოვხუცდი, დაფუშნოვდი და ზოოლოგიურ ბაღისათვის საწირო აღარ ვიუავი. ჩემს მაგიერ შეორე მოიუვანეს, ახალგაზდა და ლამაზი; მე კი გაბეიდეს ამ სამხსეცეს ჰატრონზე. იმ დღიდან დავწანწალეებ ქალბქიდან ქალბქში, მთელი ზამთარი ვკანკალებ სიცვიისაკან, ვერ ვხედავ ლაქვარდცას და მხეს და მოთმინებით ველოდები სიკვდილს.

— სად არის ახლა დედა-შენი? — ჰკითხა სწილომ.
— არ ვიცი. სამუდამოდ დაგვაშორეს ერთმანეთს.


მხეცები მიწუნარდენ; კენგურუს განუძდა.

— ძილის დროა! — ხუნეშით გამოაცხადა სწილომ. — უკვე ღამის საში საათია. მალე ჩვენ სამშობლოში ამობრწუნდება მცოცხლებელი მხე!.. აბა ახლა დაიძინეთ!

— მე რაღას შეუნებით? — უცბად თავის კალიდან ეკითხება თეთრი დათვი: — მეც მინდა ორიოდე სიტყვით ჩემი თავკადასავალი გითხრათ!

— სვალ ღამით გვიამბობ! — შეაწუვეტინა სწილომ.

მთელი სამხეცე მუდროებამ მოიცვა. მხოლოდ მაიმუნის სველა და თუთიუშის ფრთის ტელაშენი არღვევდა სიჩუმეს.



მიიღება ხელის მოწერა 1917 წლისათვის.



დასურათებ ული საყმაწვილო ჟურნალი

წელიწადი მეცამეტე. "ნაკადული" წელიწადი მეცამეტე.

ჟურნალი „ნაკადული“ გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ მოწვეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით.

შურნალი გამოდის თვეში ორჯერ

24 წიგნი „ნაკადულისა“ **12 წიგნი** „ნაკადულისა“
მკირე წლოვანთათვის. მოზრდილთათვის.

ყოველი წიგნის პირველ გვერდზე იქნება მოთავსებული გა მოჩენილ მხატვართა ნახატი.

ფსიქოლოგია: წლიურად ორივე გამოცემა—**5 მან.**—იმათ. თვის, ვინც ჟურნალს რედაქციაში მოიკითხავს, გაგზავნით კი **6 მან.** ნახევარ წლით—**3 მან.** გაგზავნით—**3 მან.** 50 კაპ. ცალ-ცალკე: მკირე წლოვანთათვის **24 წიგნი**—**3 მან.** გაგზავნით—**3 მან.** 50 კაპ. მოზრდილთათვის **12 წიგნი**—**3 მან.** გაგზავნით—**3 მან.** 50 კაპ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

ესთხოვთ ხელის მომწერლებს, თუ ჟურნალი „ნაკადული“ არ მისდით, ერთი თვის განმავლობაში გვაცნობონ და ადრესის გამოცვლა დროზე შეგვატყობინონ. ადრესის გამოსაცვლელად—**40 კ.** შეიძლება მარკებით გამოიგზავნოს.

ხელის მოწერა მიიღება

თბილისში— „ნაკადულის“ რედაქციაში, ზუბალაშვილის სახლი, გოლოვინის პროსპ. № 8. Редакция „Накадули“, Головинский пр. № 8. შემოსასვლელი დავითის ქუჩიდან, № 2. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, სასახლის ქუჩა; ქუთაისში—ისიდორე კვიციანიძისთან, მ. ყაუხჩიშვილთან და თ. მთავრიშვილთან. ფოთში—ლუდმილე მეგრელიძისთან. ბათუმში—ტროფიმ ინსარაძისთან ფოსტაში, ჭ სამსონ ყაზაიშვილთან—ქალაქის გამგეობაში. თელავში—ვანო ჰაატაშვილთან. ახალციხეში—კონსტანტინე გვარამაძისთან. ბაქოში—მეთოდე კაკაბაძისთან. გორში—ქეთევან ჯავახიშვილთან (ბნინო ლომოურთან. კიათურაში—ივ. გომელაურთან. ხონში—მ. ი. კავჭანიძისთან. მიხაილევოში—გიორგი ნაკაშიძისთან. ოზურგეთში—სალომე ზუნდაძისთან, ლანჩხუთში მასწავლებელ ჯუღელიანთან.

რედაქტორი ნინო ნაკაშიძე
გამომცემელი ბ. პავლე იოსების-ძე თუმანიშვილი.